№ 88
ხუთშაბათი, 28 აპრილი 1894

1877—1894

ივერია

№ 88
ხუთშაბათი, 28 აპრილი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

თავადი ნიკოლოზ იგივე სოლომონ ალექსანდრეს ძე ბებუთოვი, კნეინა სოფიო ალექსანდრეს ასული ერისთვისა და **ნატალია ალექსანდრეს ასული ხერხეულიძისა**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა ძვირფასის მამისა თვისისა ტიტულიარნის სოვეტნიკის **თავადის ალექსანდრე ასლანის ძის ბებუთოვისასა**, რომელიც გარდაიცვალა 22 აპრ. თვეს თავის მამულში წყენეთში, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ გამოსვენებაზედ, 28 აპრილს, ხუთშაბათს დილით 10 საათზედ ახალ ბებუთოვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში, რადგანაც გვამს წაასვენებენ მოღნინის წმ. იოსების ეკლესიაში. განსვენებულს დასაფლავებენ თავადთა ბებუთოვიის საგვარეულო აკლდამაში, ხოჯივანქის სასაფლაოზედ. პანაშვიდი იქმნება ყოველ დღე, 7 საათზედ საღამოს 26 და 27 ამ თვეს.

(2—1115—2)

ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელების საზოგადოების“ სასარგებლოდ
დანიშნულია 8 მაისს.

ვისაც ჭსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოოზის ქუჩა, საგნოვის სახლი 21).

ტფილისი, 28 აპრილს

ქალაქი, და მასთან მთელი ჩვენი ქვეყანა დიდის ყურადღებით მოელის „ნაძალადევის“ ახალი მოშენეთა ბედის გადაწყვეტას.

საზოგადოების თვალი მიპყრობილია ქალაქის საბჭოს მიმართ, რომელზედაც დამოკიდებულია 300 ოჯახის დახსნაცა განსაცდელისაგან, და გაუბედურებაც.

ქვეთ ჩვენ ვბეჭდავთ იმ შორიბებს, რომელიც „ნაძალადევეველებმა“ მიაწოდეს საბჭოს იმ ადგილების შესასყიდათ, რომელზედაც სახლობენ დდეს. როგორცა სჩანს, ეს შორიბანი ერთის იოტის ოდენადაც ნაკლები სასარგებლო არ არის ქალაქისათვის, ვიდრე ის შორიბანი, რომლითაც აქვს გაცემული ქალაქს ადგილები.

ამ არზაში, რომელიც „ნაძალადევის“ ახალმოშენეთ შეუტანია ქალაქის საბჭოში, მოუყანია დაბლოვებით ანგარიში იმისი, თუ როგორ უნდა ადემატოს ქალაქის შემოსავალს, თუ-კი საბჭო არ გაადნელებს, და არ დაბრკოლებს ქალაქის გავრცელებულ ადგილებზედ დასახლებას. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ დღეს-ადეობით ქალაქი მიიღებს 30,000 მანეთს იმ შემთხვევაში, თუ თითო საკენი ადგილი დაეთმობათ ახალმოშენეთ 1 მანეთად, რადგანაც 300 კომლს დასჭირდება სამოსახლოდ 30,000 საკენი. ხოლო ეს 300 ოჯახი, რომელიც დასახლებულა ქალაქის ადგილზედ მეათედი ნაწილიც არ არის იმ მსურველთა რიცხვისა, რომელთაც უკიდურესი საჭიროება იწვევთ და განუზრახავთ მოიპოვონ ამ გვარივე სამოსახლო ადგილები ქალაქისაგან.

მაშინ, როდესაც ქალაქს 3,000 კომლი ქალაქის ხარჯის გადამხდელი მოეძატება, და ამ თავითვე 300,000 მანეთს აიღებს ნადდს ფულს, საკვირველი იქნება, რომ ქალაქის საბჭომ უარი ჭყოს „ნაძალადეველების“ წინადადება—ბ უკვე სამასს კომლს დასახლებულს, ვინ იცის როგორის გაჭირვებით, თავიანთი შენობა თავზე დანგრიოს და ამოდენა ცოლ-შვილიანი ხალხი მინდორში დაჭყაროს უსუდმართოს ბედის ანაბარად.

ქალაქის საბჭოს კარგად ჭფერობს ამ საკანზედ მოფიქრება და ისეთის განაჩენის დადგენა, რომ იმ განაჩენმა არ შეაძრწუნოს საზოგადოების სამართლიანი გრძნობა და სინდისი.

საჭიროდ არ მიგვაჩნია განვმარტოთ, თუ როგორი სამწუხარო ზედმოქმედება ექნება, არა მარტო „ნაძალადევის“ ახალ მოშენეთა მდგომარეობაზედ, არამედ თვით ჩვენს საზოგადოებაზედაც, ქალაქის საბჭოს მკაცრს განაჩენს... ეს 300 მოსახლე ცოლ-შვილიანი კაცი ძლივს ამოსულა ნოტიო და ბნელ სარდაფებიდან, აუგია პაწია ქოხები და ბედნიერად სთვლის თავს, რომ ედირსა წმინდა ჰაერი და მზის შუქი. ამ დროს იმათი ნაამგარის თავზედ დანგრევა და ამოდენა ხალხის მინდორში უბინოდ დაგდება, არ გვგონია, რომ კარგ ანგარიშად ჩაითვლებოდეს საბჭოსაგან, სასარგებლოც რომ იყოს ქალაქის ინტერესებისათვის. მაგრამ, რომ არც ამ მხრით არის „ნაძალადეველების“ თხოვნა საზარალო ქალაქისათვის!

მეველე

ახალი ამბავი

*** ეპურეული მიდაზიის პატრონმა ი. ნ. ელიოზიშვილმა შემოსწირა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მომავალ ლატარიაალეგრის ყვავილის ვაზა, სასუხრე, საშაქრე და ბეჭდებისა და სამაჯურების ჩასაწყობი.

*** სახელმწიფო რკინის გზების გამგეობის განკარგულებით, ჩვენის რკინის გზის ინტენერი ტ. აკორონკო ამ მოკლე ხანში მიეგზავნება, რომ გამოიკვლიოს ქალ. გუმბრზედ გასაყვანის რკინის გზისათვის ადგილები.

*** გაზაფხულდა და დაიწყო უცხოელების მოგზაურობა. ამ მოკლეს ხანში ჩვენს ქვეყანაში აპირობენ ჩამოსვლას ამერიკის წარჩინებულ საზოგადოების მოგზაურნი ბბ-ნნი ფრიდრიხ ტოუნსენდი და ჩრდილოამერიკის დესპანად პარის“ში ყოფილის ძმის-წული ჰაროლდ ჯეფერსონკუდიჯი, რომელიც სტამბოლიდგან გამოიკვლიან ბათუმზედ, ჩამოვლენ ჩვენს ქალაქში, აქედან კავკავზედ გადაივლიან კასპიის ზღვამდე და ამ ზღვით აპყვებიან ვოლგის მდინარეს შიდა რუსეთის გუბერნიებისაკენ.

*** ამ დღეებში ჩვენ დავბეჭდეთ, რომ სოფ. სართიფილაში წოთელი გაჩენილაო. ეხლა გვატყობინებენ, რომ ამ სენმა მხოლოდ ხუთი ყმაწვილი იმსხვერპლა, დანარჩენი ავადმყოფები სულ მორჩნენ და ამ ჟამად აქ ამ სენით ჯერ-ჯერობით არავინ არის ავადდა.

*** 21 აპრილს ქართულს თეატრში ბ-ნმა ი. პ. აზბელოვმა, წევრმა-დამფუძნებელმა პეტერბურგის ასტრონომიულ საზოგადოებისამ წაიკითხა ლექცია ზღვათა და ოკეანეთა შესწავლის შესახებ შუა საუკუნეებსა და ჩვენს დროში. ლექციის კითხვის დროს ბუნდოვანს სურათებსაც აჩვენებდა საზოგადოებას. ლექციაა საზოგადოდ ძალიან საყურადღებო იყო და საზოგადოებაც ბევრი დაესწრო. მეორე და მესამე ლექციას ბ-ნი აზ-

ფელეტონი

„შენმა სულმა ზღუს!..“

(სურათი)

(დასასრული *)

გაიარა რამდენიმე ხანმა. მოხუცი ისევ ისე გაჭკვიანებულსავით იჯდა კედლის ძირას და სიცოცხლე არაფერში ეტყობოდა. მაგრამ ერთბაშად სახე შეეცვალა, დაჭკარგა წინანდელი ეზრუნველი, უაზრო მეტყველება და მის მაგიერ მწუხარების ნისლითი შეემოსა; თვალებში საშინელი ტანჯვა გამოეხატა, თითქოს სხეულში ლახვარსა სცემენ და უსიტყვოდ იტანჯებაო. ეტყობოდა, რომ სიმონა სავალალო ფიქრებს გაეტაცნა და მათის გახსენების ნაყოფი იყო ეს ცვლილება მისის სახისა.

მართლაც, სიმონა ეხლა ფიქრში იყო წასული და ეს ფიქრი ვერაფერ სანუგეშოს ეუნებოდა იმის დაკოდილს გულს. თვალ-წინ ეხატებოდა თავისი ყოველ-დღიური დამძიმერებელი მდგომარეობა, ხალხისაგან მასხარად აგდება და დაცინვა. ყველა ეს ლახვრად ესობოდა საწყალს გულში და საშინელს ტკივილს უშლიდა.

— ოჰ, ღმერთო! რა დღეში ჩამაგდე!? წაიყურჩალა მოხუცმა თავისთვის და თავი აქეთ-იქით გააქნია.

— რად მიმაღწევინე ამ დრომდის? განა ახალგაზდობაში ცოტა ვიტანჯე, რომ სიბერეშიაც ასეთი სასჯელი გამიჩინე? ვის რას ვუშავებ, რომ ასე დამცინინ, მდევნიან, ქეჩაში არ მიშვებენ, დიდს, პატარას, ქალს, კაცს, თავდს თუ ბერეს ჩემზე მოუცლიათ?! სად წავიდე? ვის მივმართო? თუ ჩემმა ქალაქმა არ შემითვისა, სხვაგან სად მომცემენ ბინას?.. ასე ფიქრობდა მოხუცი და თან მწარეთ ოხრავდა.—მეც ხომ ერთ დროს კაცი ვიყავ, ჩემს ტოლებში ვიხსენიებოდი, მეგობრები მყავდა?.. რა იქნენ? სად არიან? რატომ არ მოვლენ და არ დამიხსნიან ამ ტანჯვისაგან?.. მაგრამ ეჰ... მოხუცმა მწარედ გაიღიმა—ვის რათ მოვაგონდები? ვის რათ უნდივარ მასხარა, დაბეჩავებული, სულელი... კაცის მკვლელი?!. მოხუცის ხმას კანკალი დაეტყო. სიმონა რამდენსამე ხანს მღელვარებდა და შემდეგ კვლავ განაგრძო:—მართალია, მეც დამნაშავე ვარ ერთ საქმეში, მაგრამ ნუ თუ ამოდენიმ ტანჯვით ვერ მოვინანე ჩემი ცოდო? მე ერთი უბრალო კაცი ვიყავ, შეცდი, გამიწყრა ღმერთი, კაცი შემომაკვდა და მიგიერი მთელმა ხალხმა უნდა მიზღას?!... ეს უღმერთობაა!... მთელი ქალაქი ერთს კაცსა სჯის და მერე რა სასტიკად?!. რომელი სასჯელი შეედრება ამ წვალებას? „სულელს“ მე მეძახიან, „ციმბირელს“ მე მეძახიან, „კალიას“ მე მეძახიან, კაცის მკვლელი ხომ ვარდ ვარ... ციმბირშიც არ გამომიცვლია ასეთი შავი დღეები და აქ... ჩემს მიწა-წყალში... მოხუცმა ტუჩების მოძრაობა შესწყვიტა, რადგანაც ყელში მოწოლილი ცრემლები აღრჩობდა საკოდავს. ბოლოს ქვითინი ამოუშვა და ცრემლებმა უხვად იწყეს იმის თვალებიდან დენა.

გაიარა რამდენმემე წამმა; მოხუცმა ტირილი შესწყვიტა და ისევ ფიქრებს მიეცა. იმისი აზრები ერთმანეთში აირიე-დაირივა, ერთი ფიქრი მეორეს ისე სწრაფადა სცვლიდა, რომ სიმონა ვერც ერთს მათგანს ვერ დაჭკვრებოდა. ბოლოს, როგორც იყო, ერთმა ფიქრმა მიიქცია მისი ყურადღება და სიმონას გონებამ იმ ფიქრს ჩასჭიდა ბრეკყალი. ამავე დროს მოხუცს მღელვარება დაეკარგა და დამშვიდებული სახე მიიღო; თან-დათან უბრწყინდებოდა სახე. თვალებში-კი სიამოვნების ნაპერწკალი უკრთოდა. სჩანდა, წელანდელ წუხილის აშლელი ფიქრები სხვა სანეტარო ოცნებას დაეჩრდილა და სიამოვნების გრძნობით გაგმსჭვალა მოხუცის არსება.

ასეც იყო. სიმონას ეხლა თვალწინ წარმოუდგა თავისი სიყმაწვილე, მუშა-კაცის მძიმე, მაგრამ მყუდრო და დამშვიდებული ცხოვრება და ამ მოგონებამ ტკბილი ჟრუანტელი მოჰგვარა. აგონდებოდა მოხუცებული დედა, რომელიც ყოველთვის მხიარულად ეგებებოდა ხოლმე თავის „მურაზ“ სიკოს, მუშაობიდამ დაბრუნებულს. დედის მზრუნველობა, თანაგრძნობა საამოდ ფლიტინებედა სიმონას არსებას და ტუჩებზე ღიმილსა ჭვერიდა. იმისი დედა ბედნიერ დედაკაცად სთვლიდა თავის თავს, მხოლოდ სრულს ბედნიერებას ერთი რამ აკლდა და „ეს ერთი რამ“—უცოლობა იყო მისის შვილისა—„შვილო, ვიდრე შენ დაბინავებულს არა განხავ, ვიდრე სახლის მომვლელი და გულ-შემატკივარი არ გეყოლება — დამშვიდებული ვერ დავლევ სულსაო“ — ეტყოდა ხოლმე საწყალი მოხუცი შვილს.—„აირჩიე, დედა გენაცვალოს, ჩვენი ოჯახის შესაფერი საცოლე, წელებზე ფეხს დავიდგამ და მოგგვრიო“. სიმონა-კი რომ ამ დროს თავ-ჩაჭინდრული იჯდა და სირცხვილით დედისათვის ვერ შეეხედნა... აი, როგორც იყო, აუსრულდა საწყალს დედაკაცს დიდის-ხნის ნატვრა და სიმონა დაინიშნა; საქორწილოდ ემზადებოდნენ კიდეც... როდესაც... აქ სიმონას სახე უცაბედ მოიქაუშა, როგორც მზიანს დღეს ერთბაშად ღრუბელმა წამოურბინოს და ცა შავის ზეწარით შეუბუროს... სიმონას საშინელი უბედურება შეემთხვა, კაცი შემოაკვდა და სასამართლომ 15 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯა.

ამ მოგონებასთან ერთად გაჭრა ტკბილი ოცნება სიმონასი და მისი არსება კვლავ უკუნეთში შთაინთქა, შავ-ბნელი ფიქრები ლოდად დაადგა საწყალს გულზე, უწყალოდ დაუწყო ჩხვლეტა და ჯიჯგნა-წამება მის სულსა და გულს.

დედის სიკვდილი, თავისუფლების მოსპობა, საყვარელი არსების დაკარგვა, კაცის მკვლელად გარდაქმნა და საყინულე-ციმბირი, იქაც დაუსრულებელი ტანჯვა სამშობლო მხარეს დაშორების გამო, მერე შინ დაბრუნება და აქაც მასხარად აგდება თანასავე მომმეებისაგან, დევნა, გაწბილება, სიღარიბე, ავადმყოფობა, სამარცხვინო არსებობა მათხოვრობით და

*) იხ. „ივერია“, № 87.

ბელოვი წაიკითხავს 29 აპრილს და 1 მაისს.

*** სოფ. ამაღლება (გურია): 18 აპრილს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: აღდგომის მეორე დღეს ხალხი ჩვეულებისამებრ მოედანზედ სათამაშოდ შეიკრიბა. ამ დროს აქაურის მცხოვრებელის ყაჯიეშვილის ცოლი მუზიკას უკარადა. სათამაშოდ გამოვიდა გვარად ჯიბუტი. ყაჯიეშვილი და ჯიბუტი უმძრახად იყვნენ. როცა ჯიბუტი სათამაშოდ გამოვიდა, ყაჯიეშვილის ცოლმა მუზიკის დაკვრა შესწყვიტა, რის გამოც ჯიბუტმა ლანძღვა დაუწყო ყაჯიეშვილის მეუღლეს. ყაჯიეშვილმა ეს იწყინა, იძრო ხანჯალი და ჯიბუტი ძალიან დასჭრა მკლავებსა და სახეზე. მორჩენის იმედი არა აქვთ.

*** ს. მუსხი (ახალციხის მაზრა). აგერ აპრილიც გადის და ჯერ მდ. მტკვარი ისე რიგად არ ადიდებულა. აღდგომის უქმეებში წვიმამ ილაჯი გაწყვიტა, მაგრამ სამაგიეროდ ეხლაკი ამინდები დაიჭირა. მტკვრის ადიდებისა იმედი აღარა გვაქვს, რადგან თოვლი აღარსად არის. თუ არის სადმე მთებში თოვლი, ისიც ნელ-ნელა დნება უწვიმოდ და მტკვარს არაფერი ემჩნევა. ჩვენი ხიდი სრულიად დამთავრებულია და არხეინად დადიან მგზავრები. 23 აპრილს, გიორგობა დღეს, ახალციხის ერთ-ერთ მეეტლემ თავისის ეტლით ამოიყვანა მლოკავები ს. მუსხში და კვლავ და გვიმტკიცა ამით ახლად აშენებულმა ხიდმა თავისი სარგებლობა. უნდა მოვიხსენიოთ, რომ აქაური ხალხი, განსაკუთრებით მუსხელები, ამ ხიდით ეხლა ბედნიერნი არიან, რადგან ყოველ ოღრო-ჩოღრო გზებს, გაზაფხულის ადიდებულ წყლებს და კლდეღრეს ასცილდნენ და თავისუფალი და უშიშარი მისვლა დაიწყეს ამ ხიდის საშუალებით.

პური და ქერი საკმაოდ ძვირია ამ ჟამად აქეთ: ფუთი ფქვილი 1 მ. 20 კაპ. ჰფასობს და ქერი ფუთი 85 კ. ღარიბი სოფლელები სოფლებში რომ ვერ შოულობენ ფქვილს, ახალციხის ბაზრიდგან ყიდულობენ.

დამაკვირდი

—

საზოგადოებაში თავის გასატანად ხშირად საკმარია ხოდმე, რომ ეკითხოგონიერმა კაცმა-კი მოასუფლოს თავი.

მონტესკიე

**

მაღალ ამპარტავანი შეიძლება შესწყდეს, ხოლო ძირს დაგრგბულად-კი ვერ შეწყდება.

ბონაპარტი

ნაძალადეველების თხოვნა.

ტფილისის ქალაქის სასწორში ნაძალადეველებმა კვლავ თხოვნა შეიტანეს. ამ თხოვნაში ისინი, სხვათა შორის სწერენ:

1893 წ. იანვრის პირველს რიცხვებში, როდესაც ფოლიციამ ზოგიერთ ჩვენგანის სახლების გადატანა დაიწყო, ჩვენი საკრთო თხოვნით მიემართეთ ქალაქის გამგეობას, რომელშიაც მოგვეგზავნა სასუფევი ჩვენის დედა-ქალაქის გაშენებ სხ. ჩვენგან ბევრს ეხლაც ახსოვს რა მდგომარეობაში იყო ეხლანდელი ხალოდნელი, ბერეთელ ბუკა, რომელიც მხოლოდ თ. კარანტოვის წყალობით გაშენდა, რადგან მან დაადგინა ოჯახად 4 კ. საკენზედ. ის დროც გახსოვს, როცა თავთ ქალაქის სასწორ პირველს ხეთს წელიწადს ანთავეს-უფფლება საქალაქო გარდასახსდისაგან ახლად-მოშენე მოქალაქეებს. გარდა ამისა, ეხედავთ, რა მზრუნველობას აჩენს ქალაქის სასწორ მთ შესახებ, რომელნიც წინადვე დასახლდნენ ქალაქის ადგილებზედ; თავთ სასწორ უმტკიცებდა ამ ადგილებს საკუთრებად დასახლებულთ და მხოლოდ 1 მან. ორმეოცდა საკენზე, თუნდ ეს ადგილი იქ ეოფილიეო, ს

აღნიშნულს გარემოებას ყურადღება მიაქციონ, თუ იქაურ ყანებში შერიის გამორეცა მართლა ახალი ამბავია, როგორაც ბძანებს ბ-ნი ნადიკვრელი, გამოცანად და იმის წინაამდეგ საბრძოლველად არაავითარი ღონისძიება არ იციან.

საზოგადოდ აქაურ მხვნელ-მთესველებს შენიშნული აქვთ, რომ ღვარძლიანნის თესლისაგან წმინდა უფლიანლო პურის მოსვლა მოხდება ხოლმე ზოგიერთჯერ, როგორც იმავე ფელეტონში ბ-ნს ნადიკვრელს ნაჩვენები აქვს. აი ერთი ამ ნაირი შემთხვევა. თუ ძალიან წვიმიანი გაზაფხულია და ჯეჯილ წყალმა ავნო, ღვარძლი ყანაში მაშინ ძალიან ბევრი გამოერევა ხოლმე, მაგრამ თუ ასეთი ღვარძლიანი თესლი შემდეგ წელიწადს კარგ მიწაზედ დაითესა და ყანას კარგი ამინდი დაუდგა, ღვარძლი ისევ გადაგვარდება და ხორბალი ხელ-ახლად მიიღებს ხოლმე თავის პირვანდელ თვისებას.

დ. ხ.—ლი.

ᲬᲘᲜᲐᲛᲔᲫᲕᲐᲠᲘᲐᲜᲝᲜ-ᲥᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲘᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ცხრა აპრილს შემოსაღამოს მომეფა დასვლოებით გამეცნო წინამძღვარიანთ სასწავლებელი, უნდა მართალი მოგახსენოთ, რომ სასწავლებელის გარეგნობამ აღმადგინა—გამაცოცხლა. ეს ნორჩი სასწავლებელი დიდი იმედია ჩვენს ქართველ-ლეზანსოვეის, იმის შეუძლია გაგვაზარდოს ქართველი მხნე-მტოდნე მამედიშვილა, შეუძლიან წინ წასწიოს ჩვენში დაცემული მეურნეობა. ორი საათი წასულ, სასწავლებელმა ისე კარგად იმოქმედა ჩემზედ, რომ ორის საათის მაგიერ ორს დღეს დავრჩი, რათა უფრო დასვლოებით გამეცნო იგი. მეორე დღეს ბზობას დაეკუსრო სასწავლებელის კეკლუსაში ეშაწეიღების გადოხს. ბ-ნას დ. დავითაშვილს დოტბარობით გადოხეს ნამდილს კასეს კიდოზედ, როგორც საეკლესიო, ბერეოვე ხალხურს ქართველსა და რუსულს სიმღერებს. როგორც ეტყობა, ბ-ნი დ. დავითაშვილი ძალიან ბეჯითად კეკდება თავისს საქმეს, რასაც

კომ, რომელიც საზოვადოდ ძალიან ამაყის გულის პატრონი იყო. გაოცდი, შე ბებერო ძაღლო, თორემ ეხლავე სულს გაგიფრთხობინებ!

— აბა მობძანდი, მობძანდი... ვნახოთ, რას დამაკლებ... მეყო ამდენი მოთმენა... ამ ცხოვრებას, სჯობია მომკლათ, თქვე ურჯულოებო!.. თქვენ ღმერთი გაქვთ? დაბეჩავებულს კაცს არ ასვენებთ!.. თქვე... ილანძღებოდა გაფორებული მოხუცი და თანაც შუბით ემუქრებოდა ილიკოს და იმის ამხანაგებს. სიმონა რაღაცა ძალას გრძნობდა იმ წამს და, გამხეცებული, დიდის სიამოვნებით დაეწაფებოდა იმათ სისხლს, რომელიც შეარყიეს მისი სიტკბოებით მოცული არსება, არ მისცეს საშუალება პატარა ხანგრძლივადაც დამტკბარიყო საოცნებო სურათებით, და ერთ ხნობით დავიწყების ზეწრით შეემოსა ყველა ის ტანჯვა, რომელიც ბედმა ხვედრად არგუნა.

— ილიკო, ნაძლევსა ვდებ, რომ ეხლა შენ „კაკი-კალია“-ს ვერ მიეკარო, ისეა გალომებული!...—უთხრა დაცინვის კილოთი ვასომ და ხელი გაუწოდა სანაძლეოდ.—ტყუილად-კი არ ეძახიან მაგას „კაკი-კალიის“!... მერე თავის შუბიც თა-

---

ნა აქვს!...

ეს საკმარისი იყო. ილიკო მთლად აინთო. როგორ, ნუ თუ ექვი შეეტანეს იმის გამბედაობაზე?! ილიკომ გაიხარხარა და დაცინვითვე უპასუხა:

— რაო?! ვერ მივეკარო... შენ თუ გეშინიან, ყმაწვილო, იმ ბებერის ძაღლისა და იმის შუბისა, თორემ მე აინუმშიც არ მომდის!...

— ეხლავე დგომტკიცებ!.. ჰნახავ, როგორ მიულეწო ის შუბი, რომლითაც „კაკი-კალიამ“ შეგაშინა!.. ესა სთქვა, მერე სწრაფად ფეხი შედგა მუჯარის ხარიხაზე და, ერთის თვალის დახამხამებაზე, ქუჩაში გადაფრინდა. ყოველი ესე ისე სწრაფად მოხდა, რომ ამხანაგებმა ვერ მოასწრეს იმისი დაკერა, მაგრამ, როგორც სჩანდა, არც დიაკერდნენ ილიკოს, თუნდა შესძლებოდათ კიდეც, რადგანაც ყველანი მხიარულის სახით ელოდენ, თუ ილიკო როგორ მოარომევდა მათ გამარჯვების ნიშანს,—დამსხვრეულს შუბს. ამასობაში ილიკომ მოხუცისაკენ გასწია. სიმონამ ფეხიც არ მოიცვალა ალაგიდამ და გავარვარებულის სახით უცდიდა მტრის მოახლოვებას. ილიკო მივიდა იმასთან, ოთხს ნაბიჯზე გაჩერდა და მრისხანედ შეუყვირა.

— ვისა ჭლანძღავდი, შე ბებერო ძაღლო? დაადგე ეგ შუბი, თორემ ბედს გაწყეკლინებ!...

— არ მომეკარო, ღვთის გულისთვის, თორემ, არ ვიცი, რას ვიზამ... დაიძახა ხმის კანკალით სიმონამ და შუბი მოიმარჯვა. სიმონა უზომოდ იყო აღელვებული, თვალებში სისხლი მოჰბეროდა და სახე საზარალოდ დალმენჯოდა.

— ააა... მემუქრები კიდეც... მე გიჩვენებ შენს სეირს!... აქ ილიკო წასწვდა სიმონას შუბის გამოსაგლეჯად, მაგრამ სიმონამ შუბი განზე გააქნია, მკლავებ ქვეშ გაუტარა და, რა დაიძახა საზარელის ხმით:

— „შენმა სულმა ზღოს!ო“. მძლავრად ჩასცა მუცელში; ამასთანავე ბრაზ მორეულმა შუბი წულულში ორჯერ თუ სამჯერ გადაატრიალა.

ისე ძლიერად იყო დაკრული ლახვარი, რომ შუბის რკინის ნაწილმა ტანსაცმელში გაუარა და მუცელში მთლად შეერია. ილიკოს საშინლად გაუზმორა, გატოკდა, საზარლადვე დაიკვნესა და მოჭრილ ხესავით მიწაზედ დაეკა. სიმონა შტერივით იდგა ილიკოს გვამის ახლო, ორივე ხელები თმაში ჩაევლო და დაბრიალებულის თვალებით დასცქერებოდა მოკ-

---

ლულის წყლულს, რომლიდამაც სისხლის ნაკადული წყაროსავით გადმოსჩქეფდა.

ამხანაგები მიეშველნენ ილიკოს, მაგრამ გვიან-ღა იყო, მან სული დალია. მერე ეცნენ სიმონას, წაეკიცეს მიწაზედ და დაუწყეს უწყალოდ ცემა, ხელით თუ ფეხით, სადაც მოხვდებოდათ. მოხუცს გული შეეღონდა; ვეღარ გაუძლო, ჯერ ერთი იმ სულის მღელვარებას, რომელიც ის იყო გამოიარა და მეორეც, მოკლულის ამხანაგების ცემას. სამის წამის განმავლობაში ამ სისხლის ღვრის ადგილს მთელი ქალაქი დაედვა. ყველანი სულ განაბულნი შესცქეროდნენ ორის კაცის გვამს, რომელთა შორის ერთი უკვე მკვდარი იყო და მეორეც სიკვდილს ებრძოდა, თუმცა კი ვერა ჭვრძნობდა ამ ბრძოლას. ილიკოს ამხანაგები არსადა სჩანდნენ. ამ დროს მოისმა ვიღაცა კაცის ბღავილი, რომელსაც პატარა ბიუბის ყიჟინი ბანს აძლევდა.

ქუჩაში ხალხის ჯგუფისაკენ ერთი მორჩილი ტანის კაცი მორბოდა, ფარდაგის ნაჭრებით აკინძულს უცნაურ საცმელში. ამ კაცის თვალების მეტყველება—უაზრო, უსაგნო და შეუცველი აშკარად გამცნობდათ, რომ

ეს საკმარისი იყო. ილიკო მთლად აინთო. როგორ, ნუ თუ ექვი შეეტანეს იმის გამბედაობაზე?! ილიკომ გაიხარხარა და დაცინვითვე უპასუხა:

— რაო?! ვერ მივეკარო... შენ თუ გეშინიან, ყმაწვილო, იმ ბებერის ძაღლისა და იმის შუბისა, თორემ მე აინუმშიც არ მომდის!...

— ეხლავე დგომტკიცებ!.. ჰნახავ, როგორ მიულეწო ის შუბი, რომლითაც „კაკი-კალიამ“ შეგაშინა!.. ესა სთქვა, მერე სწრაფად ფეხი შედგა მუჯარის ხარიხაზე და, ერთის თვალის დახამხამებაზე, ქუჩაში გადაფრინდა. ყოველი ესე ისე სწრაფად მოხდა, რომ ამხანაგებმა ვერ მოასწრეს იმისი დაკერა, მაგრამ, როგორც სჩანდა, არც დიაკერდნენ ილიკოს, თუნდა შესძლებოდათ კიდეც, რადგანაც ყველანი მხიარულის სახით ელოდენ, თუ ილიკო როგორ მოარომევდა მათ გამარჯვების ნიშანს,—დამსხვრეულს შუბს. ამასობაში ილიკომ მოხუცისაკენ გასწია. სიმონამ ფეხიც არ მოიცვალა ალაგიდამ და გავარვარებულის სახით უცდიდა მტრის მოახლოვებას. ილიკო მივიდა იმასთან, ოთხს ნაბიჯზე გაჩერდა და მრისხანედ შეუყვირა.

— ვისა ჭლანძღავდი, შე ბებერო ძაღლო? დაადგე ეგ შუბი, თორემ ბედს გაწყეკლინებ!...

— არ მომეკარო, ღვთის გულისთვის, თორემ, არ ვიცი, რას ვიზამ... დაიძახა ხმის კანკალით სიმონამ და შუბი მოიმარჯვა. სიმონა უზომოდ იყო აღელვებული, თვალებში სისხლი მოჰბეროდა და სახე საზარალოდ დალმენჯოდა.

— ააა... მემუქრები კიდეც... მე გიჩვენებ შენს სეირს!... აქ ილიკო წასწვდა სიმონას შუბის გამოსაგლეჯად, მაგრამ სიმონამ შუბი განზე გააქნია, მკლავებ ქვეშ გაუტარა და, რა დაიძახა საზარელის ხმით:

— „შენმა სულმა ზღოს!ო“. მძლავრად ჩასცა მუცელში; ამასთანავე ბრაზ მორეულმა შუბი წულულში ორჯერ თუ სამჯერ გადაატრიალა.

ისე ძლიერად იყო დაკრული ლახვარი, რომ შუბის რკინის ნაწილმა ტანსაცმელში გაუარა და მუცელში მთლად შეერია. ილიკოს საშინლად გაუზმორა, გატოკდა, საზარლადვე დაიკვნესა და მოჭრილ ხესავით მიწაზედ დაეკა. სიმონა შტერივით იდგა ილიკოს გვამის ახლო, ორივე ხელები თმაში ჩაევლო და დაბრიალებულის თვალებით დასცქერებოდა მოკ-

---

ეს საკმარისი იყო. ილიკო მთლად აინთო. როგორ, ნუ თუ ექვი შეეტანეს იმის გამბედაობაზე?! ილიკომ გაიხარხარა და დაცინვითვე უპასუხა:

— რაო?! ვერ მივეკარო... შენ თუ გეშინიან, ყმაწვილო, იმ ბებერის ძაღლისა და იმის შუბისა, თორემ მე აინუმშიც არ მომდის!...

— ეხლავე დგომტკიცებ!.. ჰნახავ, როგორ მიულეწო ის შუბი, რომლითაც „კაკი-კალიამ“ შეგაშინა!.. ესა სთქვა, მერე სწრაფად ფეხი შედგა მუჯარის ხარიხაზე და, ერთის თვალის დახამხამებაზე, ქუჩაში გადაფრინდა. ყოველი ესე ისე სწრაფად მოხდა, რომ ამხანაგებმა ვერ მოასწრეს იმისი დაკერა, მაგრამ, როგორც სჩანდა, არც დიაკერდნენ ილიკოს, თუნდა შესძლებოდათ კიდეც, რადგანაც ყველანი მხიარულის სახით ელოდენ, თუ ილიკო როგორ მოარომევდა მათ გამარჯვების ნიშანს,—დამსხვრეულს შუბს. ამასობაში ილიკომ მოხუცისაკენ გასწია. სიმონამ ფეხიც არ მოიცვალა ალაგიდამ და გავარვარებულის სახით უცდიდა მტრის მოახლოვებას. ილიკო მივიდა იმასთან, ოთხს ნაბიჯზე გაჩერდა და მრისხანედ შეუყვირა.

— ვისა ჭლანძღავდი, შე ბებერო ძაღლო? დაადგე ეგ შუბი, თორემ ბედს გაწყეკლინებ!...

— არ მომეკარო, ღვთის გულისთვის, თორემ, არ ვიცი, რას ვიზამ... დაიძახა ხმის კანკალით სიმონამ და შუბი მოიმარჯვა. სიმონა უზომოდ იყო აღელვებული, თვალებში სისხლი მოჰბეროდა და სახე საზარალოდ დალმენჯოდა.

— ააა... მემუქრები კიდეც... მე გიჩვენებ შენს სეირს!... აქ ილიკო წასწვდა სიმონას შუბის გამოსაგლეჯად, მაგრამ სიმონამ შუბი განზე გააქნია, მკლავებ ქვეშ გაუტარა და, რა დაიძახა საზარელის ხმით:

— „შენმა სულმა ზღოს!ო“. მძლავრად ჩასცა მუცელში; ამასთანავე ბრაზ მორეულმა შუბი წულულში ორჯერ თუ სამჯერ გადაატრიალა.

ისე ძლიერად იყო დაკრული ლახვარი, რომ შუბის რკინის ნაწილმა ტანსაცმელში გაუარა და მუცელში მთლად შეერია. ილიკოს საშინლად გაუზმორა, გატოკდა, საზარლადვე დაიკვნესა და მოჭრილ ხესავით მიწაზედ დაეკა. სიმონა შტერივით იდგა ილიკოს გვამის ახლო, ორივე ხელები თმაში ჩაევლო და დაბრიალებულის თვალებით დასცქერებოდა მოკ-

---

ლულის წყლულს, რომლიდამაც სისხლის ნაკადული წყაროსავით გადმოსჩქეფდა.

ამხანაგები მიეშველნენ ილიკოს, მაგრამ გვიან-ღა იყო, მან სული დალია. მერე ეცნენ სიმონას, წაეკიცეს მიწაზედ და დაუწყეს უწყალოდ ცემა, ხელით თუ ფეხით, სადაც მოხვდებოდათ. მოხუცს გული შეეღონდა; ვეღარ გაუძლო, ჯერ ერთი იმ სულის მღელვარებას, რომელიც ის იყო გამოიარა და მეორეც, მოკლულის ამხანაგების ცემას. სამის წამის განმავლობაში ამ სისხლის ღვრის ადგილს მთელი ქალაქი დაედვა. ყველანი სულ განაბულნი შესცქეროდნენ ორის კაცის გვამს, რომელთა შორის ერთი უკვე მკვდარი იყო და მეორეც სიკვდილს ებრძოდა, თუმცა კი ვერა ჭვრძნობდა ამ ბრძოლას. ილიკოს ამხანაგები არსადა სჩანდნენ. ამ დროს მოისმა ვიღაცა კაცის ბღავილი, რომელსაც პატარა ბიუბის ყიჟინი ბანს აძლევდა.

ქუჩაში ხალხის ჯგუფისაკენ ერთი მორჩილი ტანის კაცი მორბოდა, ფარდაგის ნაჭრებით აკინძულს უცნაურ საცმელში. ამ კაცის თვალების მეტყველება—უაზრო, უსაგნო და შეუცველი აშკარად გამცნობდათ, რომ

მყოფობა „ძალვან კარქაო“ სკოდნია, ხალხის სიტყვითო, ამ ქალბატონს მაგრამ „საყმაწვილოის“ (თიადორას) ექიმი-კი უებარი ყოფილა. ხალხსაც, რომ დაუჯეროთო, ბევრ სასწაულს მოგითვლიან იმ ქალისაგან მოხდენილს! ვერას გზით ვერ დაჯერებთ ხალხს, რომ ავადმყოფობა „საყმაწვილო“ (თეადორა) ექიმებმა სპეციალისტებმაც იციან და ექიმობენ. „დოხტურმა“ „საყმაწვილოის“ არაფერი არ იცისო! ისის აქიმობა სოფელში უფრო იციანო! ასე და ამ რიგად აუარებელი მუშტარი ესეკი იმ „აქიმ-ქალს“!

ის აქიმ-ქალი ამდენს ხანს ს. ვანს, პატარა დაბა (100 დუქანია) ურიებში, სასოფლო აფთიაქის პირდაპირ ჰბინადრობდა. აფთიაქს ბევრი მუშტარი ჩამოაცალა, რადგან ბალახბულახის ფამლებით ექიმობს. ამის გამო მეფთიაქემ ბ-ნმა ჩომახიძემ ადგილობრივ, ბიღდადის პოლიციის ბოქაულთან უჩივლა, როგორც მატყუარას, რის გამო ის „აქიმი-ქალი“ განსდევნეს ხსენებულის სოფლიდგან. ამან ერთობ აალელვა ხალხი და დიდს საყვედურს უთვლიან „აქიმ-ქალის“ განდევნისათვის ჩ—ძეს. დოხტურები და ფერშლები ჩვენ არა გვყავს, ერთად-ერთი „აქიმ-ქალი“ გვყავნდა სანუგეშოდ და ისიც მოგვაშორესო! ვის რა უნდა, ვინც ჩვენ გვსურს იმას ვაექიმებინებთო! თუმცა ხსენებულის სოფლიდგან გაამეცეს, მაგრამ იქაც გვერდით მახლობელ სოფელში ამოჰყო თავი და ხალხი ჯიბრზედ უფრო მეტ დაიარება იმასთან საექიმოდ. ისეთი გავლენა იქონია ამ ქალმა ხალხზედ, რომ ხელ-წერილი გააკეთეს და ჯერჯერობით ექვსასამდე კომლს მოუწერია ხელი, რომ ხსენებული „ქალი!, ჯანიოზი“ ექიმია და გვსურს, რომ ჩვენს ექიმად გვყავდესო!

ამ ოთხის წლის წინად, ერთი ახლად კურს შესრულებული ჩვენებური ყმაწვილი ექიმი ჩამოვიდა ჩვენში და სულით და გულით უნდოდა, რომ დარჩენილიყო და ექიმობა გაეწია ხალხისათვის! ას თუმანს გვჯერდებოდა ჯამაგრად წელიწადში,

---

იგი ქკვაზე შემცდარი უნდა ყოფილიყო. მართლაც ეს გახლდათ გიჟი ისაკა, რომელიც ამ ათის წლის წინად მამის მოკვლის გამო ქკვაზე შესცდა და ისიც სიმონასავით ხალხის კერძად შექმნილიყო. რა დაინახა გიჟმა სიმონა, თითქოს რაღაცა გაახსენდა, მივარდა გადაფითრებულის სახით მოხუცის გვამს, წაიშინა თავში და მორთო გულ-ამოსკვნით ქვითინი.

— ღაღა, ღაღა!.. ვაიმე! უბედურო, ღაღა, რა მოგსვლია!.. ღა...ღა ღა...—საწყალი გიჟი სულს ვეღარ იბრუნებდა აღელვებისაგან და ცრემლებით ალბობდა მოხუცს.

თითქოს განგებით მოვლენილიყო ეს სულით ავადმყოფი ამ დროს, რათა პირისუფლის ადგილი დაეპირა სიმონას გვამთან და მწვავე ცრემლით გაეპატიოსნებინა მისი ობოლი მრავალ-ტანჯული ცხედარი.

ისეთი საზარელი სანახავი იყო ეს სურათი, რომ ხალხი, რომელიც ყოველთვის სიცილით ეგებებოდა გიჟის ბღავილს, ეხლა მდუმრებით უყურებდა ამ ამბავს და ზოგიერთებს ცრემლიც-კი მოერიოთ.

ი. ელეფთერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვერ მოვახერხეთ. მაშინ არ შეეწუწებიათ შეგონებით თავი სოფლის ნასწავლებს, რომელნიც ეხლა ამ ექმი ქალს სწყალობენ და დღეს ქა დაგებასაც არ ერიდებინან ამ მატყუარასთვის. დროა, რომ ყურადღება მიექცეს ამისთანა ექიმებს, რომლებიც უღმრთოდ სწოვენ ისედაც დასუსტებულს უმეცარს ხალხს. დროა მიაქცეოს სასულიერო მთავრობამაც ჯერონავნი ყურადღება სოფლის სამღვდელოებას, რომ ისინი თავიანთ სამრევლოებში სასტიკად სდევნიდნენ მატყუარა ექიმებს და მკითხავებს, რომლებიც ძრიელ ხშირად იკეთებენ ბინას სოფლებში.

თან-ნარული

რუსეთი

ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროშია გადაცემული საგანი მაგარს სასმელებზედ, რომელშიაც-კი ალკოჰოლი ურევია, როგორც ღვინო, მაგალითებრ. ეს საგანი უნდა განიხილოს განსაკუთრებულმა კომისიამ, უმაღლესის ბრძანებით დაარსებულმა.

—

ფინანსთა სამინისტრომ განიზრახა რა სხვა-და-სხვა ღონისძიებანი შემოიღოს სიმთვრალის შესამცირებლად და მიჰმართა საერობო და სხვა დაწესებულებათ და სთხოვა, თქვენი აზრი გვაცოდინეთ ამ საგნის შესახებაო. უმთავრესად ამ დაწესებულებათა მიერ ის აზრი გამოითქვა, რომ ჩვენში ცუდად არის მოწყობილი კანონ-მდებელობა სასმელეულობის შესახებაო. მაგალითებრ, ყოველად შეუძლებელია რომელსამე ადგილას დაკეტვა სასმელების დუქნისა, ან ვაჭრობის ვადის შეზღუდვა, რადგან საზოგადოებამ რაც უნდა განაჩენი შეადგინოს ამის შესახებ, ეს არასა ჰშველის. ამ განაჩენის დამტკიცება სამაზრო სასმელეულობის დუქნების საკრებულოზეა დამოკიდებული, რომელიც იშვიათად ამტკიცებს და უფრო ხშირად-კი უარს ეუბნება, საზოგადოების სურვილს არ იწყნარებს. ამ გარემოებათა გამო სხვა-და-სხვა ადგილების დაწესებულებანი იმ აზრისანი არიან, რომ სიმთვრალის წინააღმდეგ ბრძოლას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექმნება ფასი და მნიშვნელობა, თუ სრულიად შეიცვალა კანონები სასმელეულობის შესახებაო.

—

იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ახალი სამოქალაქო დებულების შედგენა, ზოგიერთა რამ ცვლილება შეუტანია ახალს ობოლთა სამზრუნველო წესდებაში, ხოლო უმთავრესნი საფუძველნი-კი ისევ შერჩა პროექტის წესდებას. ამ ახალის წესდებით, ობოლთა მზრუნველების მოქმედებას თვალ-ყური უნდა ადევნონ სასამართლოს უწყების მოხელეებმა, გლეხთა მზრუნველებს გარდა, რადგან გლეხთა სამზრუნველო სასამართლოს წესდება განცალკევებულია საერთო წესდებიდგან. ახალი წესდება კიდევ იმითი განსხვავდება ძველისაგან, რომ ამიერიდგან, ამ წესდების უმაღლესად დამტკიცების შემდეგ, შესაძლებელი იქნება საოჯახო საბჭოთა დაარსება, რომ-გორც საფრანგეთშია შემოღებული. ასეთის საბჭოს დაარსება შეიძლება: 1) ყმაწვილის დედისა და ან მამის ანდერძის წერილის თანახმად, ანუ იმათის წერილობითის განკარგულებით; 2) იმის ასეთისავე წერილით ანუ განკარგულებით, ვინც თავისს ქონებას დაუტოვებს მცირეწლოვანს; 3) მცირე-წლოვანის ქალის ქმრის სურვილისამებრ და აგრეთვე იმის მახლობელ ნათესავისა, რომელიც შეიძლება ამორჩეულ იქმნეს საოჯახო საბჭოს წევრად, და 4) ობლის მზრუნველის განცხადებისამებრ, ანუ იმ სასამართლო დაწესებულების განკარგულებით, რომელსაც მინდობილი აქვს თვალ-ყური ადევნოს ობოლთა სამზრუნველო სასამართლოების მოქმედებას.

უცხოეთი

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. თავად ბისმარკს ლიუნებურგში ეწვია ამას წინად ბერგის დედათა დეპუტაცია თვისის პატივისცემის განსაცხადებლად, რომელნიც თავადმა ბისმარკმა დიდად ალერსიანად მიიღო და, სხვათა შორის, უთხრა: „მე აქა ვარ, ტყეში, თუმცა ისე მარტოდ-მარტო არა ვგრძნობ ჩემს თავს, როგორც ამ უკანასკნელ ოცდა-ათის წლის განმავლობაში ვგრძნობდი. შეიძლება მარტოდ იყოს ადამიანი დიდს ქალაქსა, პარლამენტსა, მინისტრთა საბჭოში, მაგრამ ტყეშიკი არა. კმაყოფილი მინისტრი არასოდეს მინახავს, მაგრამ ამასთან არ მინახავს უკმაყოფილო ტყის მცველიც. გერმანელისათვის ტყეში ცხოვრებას თავისი ლაზათი აქვს. ამ ორმოცის წლის წინად, როდესაც ერთმა ჩემმა მეგობართაგანმა მკითხა, შენის მერმისის შესახებ რასა ჰფიქრობო, ვუპასუხე, რომ იმედი მაქვს ათს წელიწადს კიდევ ელჩად ვიყო, ათს წელიწადს მინისტრად და ამდენივე ხანი ბუნების ალერსსა და განცხრომაში გავატარო-მეთქი. ასე თანაგრძნობით, ასეთი მეკერძ-მეტყველი პატივისცემა, როგორც თქვენ აღმომიჩინეთ, ჯერ პოუსიიდგან არ მახსოვს. ჩემთვის კარგი საბუთია ის გარემოება, რომ ოცდა-ათის წლის საპოლიტიკო მოღვაწეობის შემდეგ, რომელსაც ჩემნი მოწინააღმდეგენი დურბინდით შეჰყურებდნენ, რათა თვით დაენახათ ჩემნი შეცდომანი, კიდევ ამდენი საპოლიტიკო მეგობარი დამჩენია; და ისიც მშვენიერის სქესის წარმომადგენელთა შორის. დარწმუნებული ვარ, ეხლა რეინში ბევრია თქვენის აზრისა, მაგრამ აღმოსავლეთისკენ კიდევ ბევრია პრუსიის განცალკევების მომხრე და ბევრი ისეთი კაცი მოიძებნება, რომელთაც ჩემ დიდ დანაშაულად მიაჩნიათ, რომ ამ ჟამად 50 მილიონი გერმანელი ითვლება და არა 50 მილიონი პრუსიელი. დრო მოვა და ისინიც დარწმუნდებიან, რომ კი ხანა იმთაც 1866 წლიდგან დაუდგათ“.

—

ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐ. ამ ბოლოსდროს, როდესაც პრინცი კობურგერი ბოლგარიაში არ იყო, ბოლგარიის მთავარ-მინისტრმა სტამბულოვმა თავისის თხოვნითა და მოხერხებით ერთი კარგი საქმე გაკეთა. ოსმალეთის სულთანმა, რომელიც ბოლგარიის დიდებულ მფარველად ითვლება, ირადე გამოსცა, რომლითაც ბოლგარიის ექსარხოსს დიდი ადგილი უბოძა ბოლგარიის სემინარიის შენობის ასაგებად, ბოლგარიის სასწავლებლები სულ ამ ექსარხოსს დაუქვემდებარა და ამიერიდგან მხოლოდ ექსარხოსს შეუძლიან განიხილოს სასწავლებლის საქმეები ოსმალეთის კანონების თანახმად და ამას გარდა ნება მისცა ორის ახალის ბოლგარიის ეპისკოპოსის დანიშვნისა მაკედონიაში სახელდობრ ნეგრეკონსა და ველესში. როდესაც ამ ირადეს ამბავი მივიდა სოფიაში, სტამბულოვის სახლის წინ დიდ-ძალმა მაკედონიაში მცხოვრებმა ბოლგარელმა მოიყარა თავი და პატივის ცემის ნიშნად მხიარული ყიჟინი დაიწყო. სტამბულოვი გამოვიდა ბალკონზედ, მცირე სიტყვა წარმოსთქვა და ასე დაასრულა: „გაუმარჯოს მრავალ ჟამიერ ჩვენს დიდებულ მფარველს აბდულ-ჰამიდსაო!? ავსტრიის გაზეთები ამბობენ, რომ ეს დღე „სახსოვარ, ისტორიულ დღედ დარჩება, რადგან ამ დღეს სავსებით გაიმარჯვა ბოლგარიის ერის დამოუკიდებელმა პოლიტიკამ ბოლგარიაშიო.

გასართობი

—

თელავის ახლო ერთი სოფელია, რომელსაც „აღდგომა“ ეწოდება.

ერთმა კაცმა მეზობელს ინვარში ცხენი სთხოვა, „აღდგომამდი ცხენი მათხოვეო“. მეზობელმაც ათხოვა. იმ კაცმა ის ცხენი სამი ოთხი თვე თავისთან შეინახა და მერე ისევ მოუყვანა.

— კაცო, შენ „აღდგომამდი“ გათხოვე ცხენი და სამის ოთხის თვის შემდეგ მიბრუნებო? ჭკითხა პატრონმა.

— ძმაო, შენ აღდგომამდის მათხოვე, მე ბზობის დღეს მოვიყვანე, ერთის კვირით წინაო და რაღას მემდური, გაიცა პირველი.

**

მთვრალი კაცი შევიდა თავის სახლში და უცქი თავის სახე დაინახა და თავისს ცოლს უთხრა.

— აკი ამბობდი, ჩემთან სხვა კაცს რა ხელი აქვსო, მაშ ეს ვინ არის?

— ეგ—ჩემი დედამთილის შვილიაო, უპასუხა ცოლმა.

დეპეშა

26 აპრილი

ᲞᲐᲠᲘᲡᲘ. დღეს პალატაში განხილული იქნება საგანი სოციალისტთა დეპუტატის ტუსენის სამართლში მიცემის შესახებ.

ᲐᲗᲘᲜᲐ. ლოკრიდსა და ათინაში კიდევ სამჯერ იძრა მიწა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. გუშინ აფეთქდა სამეფო თოფის წამლის ქარხანა ლონდონს ახლო. მოკლულია 4 კაცი, დაჭრილი—24; რამდენიმე შენობა დაზიანდა.

27 აპრილი

ᲠᲝᲛᲘ. „Moniteur de Ronie“ დაბეჯითებით ამბობს, რომ რუსეთი ამ ახლო ხანში ვატიკანთან სამუდამო სამისიონეროს დაარწესებსო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „New-Jork Herald“-ი იუწყება, რომ პარიჟში მოლაპარაკება ჰქონიათ და ამ მოლაპარაკებით „Standart oil Company“-ს და რუსეთის ნავთის მწარმოებელთა სინდიკატს სანახევროდ ინაწილებენ ქვეყანას ნავთის მიწვდენის მხრივეო. „Standart oil Company“-მ ნავთი უნდა აძლიოს ამერიკას, ინგლისს, საფანგეთს და დასავლეთ ევროპას, ხოლო რუსთა სინდიკატმა—აღმოსავლეთ ევროპას, ანიას და ინდოეთს. თითოეული მათგანი ვალდებულია არ ივაჭროს მეორეს ნაწილშიო.

ᲕᲣᲭᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ

	მეოთხეულსა.	გასულ-ველსა.	მეოთხეულსა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,46	7,49	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	149	149 3/4	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	247
—მეორისა	— ,,	— ,,	225 1/2
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავდა-ზანაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	194 1/2
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	— ,,	101 1/8
5%	100	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკის 6%.	— ,,	— ,,	102
5%.	102	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკredიტო საზოგადოებისა	101	— ,,	— ,,

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პირველი კერძო სამეურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფი იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სპირს სნეულებანი: სახიერურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდგოგსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ბრონტსვეიზი,—11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაბეტიანცი, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ე. ი. ფრანტიუსი, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დარეგისტრირებული დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

დაიბეჭდა და ისყიდება

ქ. ტფილისში

გამ. ბ-ნ ზაქ. გრიგორიოვის წიგნის მაღაზიაში.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ“.

შედგ. ა. ნატრაშვილისა-მიერ.

ეს წიგნი მოწონებულ იქმნა, როგორც სახელმძღვანელო, უწმინდესის სინოდისაგან და აგრეთვე სამოსწავლო საერო მთავრობისაგან.

ფასი 35 კოპ.

ხოლო ვინც, ნაღდს ფულზედ, ათს ან მეტს ცალს იყიდის, წიგნი დაეთმობა 30 კაპეიკად.

(5—1)

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲚᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲖᲝᲠᲐᲑᲘᲩᲘ სდგას—ვერის ჩასავალს, ოსიპოვის მამულში.

აცრა და გასყიდვა ყვავილის ჩირქისა არის ყოველ დღე, დილის 8 საათიდან 10-მდე, და შუადღის შემდეგ 3 საათიდან 5-მდე.

გარეშე ადგილებიდანაც, შეიძლება ჩირქის დაბარება, რაიცა გაგზავნილი იქნება საჩქაროდ და სუფთად.

(12—2)



ᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲗᲛᲘᲡ ᲡᲐᲦᲔᲑᲐᲕᲘ

Გ. ᲕᲔᲜᲔᲡᲘ.

ქ. ᲕᲔᲜᲐᲨᲘ.

უვნებელი წამალი სწრაფად შესაღებად თმისა და წვერისა შავად, ქერად და წაბლის-ფერად. ფლაკონი ღირს ბაგზავნით 3 მანეთი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის

В. АУРИХЪ,

С.-Петербургъ,

Колокольная 18.

(8—5)

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

ᲒᲐᲛᲘᲢᲪᲐᲛᲓ Მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡᲐ

ფასი ერთი შაური

ისყიდების:

წერა-კითხვის გამაგრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიგორიოვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთაგან სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავგრთქილაძესთან.

სამტრედიაში. ბ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. მენთეშაშვილთან.

ᲙᲐᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

ოლოლაყზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დან 6 საათამდე.

ᲙᲘᲠᲐ-ᲨᲣᲐᲦᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—187)

ტფილისში ა. არისტაკოვის საოფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.

Доз. пенз. Тифлисъ, 27-го Апрѣля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ